ხელშეკრულება № 127

2019 წლის 23 სექტემბერი ქ. თბილისი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017 (წოდებული შემდგომში „შემსრულებლად“), მისი ხელმძღვანელის ირაკლი ღარიბაშვილის სახით

და მეორე მხრივ სსიპ კოლეჯი „იბერია“ მისი დირექტორის ირაკლი ავალიანის სახით (შემდგომში წოდებული “დამკვეთად”) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 “შემსრულებელი” გაუწევს „დამკვეთს“ მომსახურებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შემდეგზე:

- შემსრულებლის კომპიუტერზე (სერვერზე) ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „OpenBiblio“-ს ახალი ვერსიის გამართვა და მისი დამკვეთისათვის გადაცემა წლიური მომსახურების პირობით.
- გამარტივებული შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-10-1 მუხლი, მე-3 პუნქტი, „ი“ ქვეპუნქტი.
- CPV-48161000 - ბიბლიოთეკის მართვის სისტემა
- სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

2. მომსახურების მოცულობა და ვადები

2.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევა ხდედა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 30 ნოემბრამდე და მოქმედებას 2019 წლის 31 დეკემბრამდე. .

3. მომსახურების შესრულების წესი

3.1. მომსახურებას უზრუნველყოფს “შემსრულებელი” მხარე.

4. ვალდებულების შესრულების ადგილი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია: ქ.ქუთაისი ნიკეას N12.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. შემსრულებლის ვალდებულებები:

5.1.1.შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს 1.1 პუნქტში მითითებული ვალდებულება უნაკლოდ;

5.1.2.შემსრულებლის ვალდებულება მომსახურებაზე ითვლება შესრულებულად დამკვეთისათვის მომსახურების დასრულების მომენტიდან. მომსახურებასთან ერთად, შემსრულებელი ვალდებულია გადასცეს დამკვეთს ყველა შესაბამისი დოკუმენტი;

5.1.3. თუკი ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურებას აღმოაჩნდება პროგრამის მუშაობასთან დაკავშირებული რაიმე ნაკლი, შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთის მოთხოვნისთანავე გამოასწოროს ეს ნაკლი თავისი ხარჯით.

5.2. დამკვეთის ვალდებულებები:

5.2.1. დამკვეთი ვალდებულია მიიღოს მომსახურება და გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

5.2.2. შემსრულებლისაგან მომსახურების მიღებისას დამკვეთი ვალდებულია შეამოწმოს მისი მოცულობა და ხარისხის შესაბამისობა ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტით შეთანხმებულ პირობებთან. მომსახურების გაწევის შედეგების მიხედვით მხარეები ადგენენ მიღება–ჩაბარების აქტს და ხელს აწერენ მას.

5.2.3. დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს მიღებული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

6. ფასი და ანგარიშსწორების წესი

6.1. მომსახურების საერთო ღირებულებაა **450.00 ლარი** (ოთხასორმოცდაათი) დღგ-ს გარეშე.

6.2. მომსახურების საფასურის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში, ამ ხელშეკრულების, შესაბამისი ინვოისისა და მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7. კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე

7.1. დამკვეთი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. კონტროლის განხორციელება ეკისრება სსიპ კოლეჯის იბერია“ შესყიდვების სპეციალისტს გიგა ფახურიძეს.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. დამკვეთი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

a) ხელშეკრულებით გათვალისიწინებულ ან დამკვეთის მიერ გაგრძელებულ ვადაში შემსრულებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ გაწევა;

b) შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისიწინებული რომელიმე ვალდებულება;

c) დამკვეთისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

d) შემსრულებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

e) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის შემსრულებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს

გადახდა მომსახურების ღირებულების 0,02% ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

9.2. დამკვეთს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით, არაჯეროვანი შესრულებით ან ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

9.3. ფორს-მაჟორი

9.4. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალის-წინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

9.5. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

9.6. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

10.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11.2. იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის

გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

13. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი – დამკვეთს, ერთი – შემსრულებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსრულებელი</u>	<u>დამკვეთი</u>
ააიპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმი 2017 საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ვასილ პეტრიაშვილის ქ., N 20, ბინა N6 ტელ: საიდენტიფიკაციო კოდი: 404533251 საბანკო რეკვიზიტები: თიბისი ბანკის ცენტრალური ფილიალი, კოდი : TBCBGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: GE32TB7275336080100012	**სსიპ კოლეჯი „იბერია“** **ქ.ქუთაისი ნიკეას N12** ტელ: 0431 225562 მის:ქ.ქუთაისი ნიკეას N12 საიდენტიფიკაციო კოდი: 212 682 051 სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ნ: GE 24 NB 0330 1002 0016 5022
აღმასრულებელი დირექტორი: ირაკლი ღარიბაშვილი _____ (ხელმოწერა) _____ (თარიღი)	**დირექტორი** ირაკლი ავალიანი _____ (ხელმოწერა) _____ (თარიღი)

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლს „ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესი“ და ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ სსიპ კოლეჯის „იბერია“ მონაწილეობა შესყიდვის პროცედურაში მიმწოდებელთან არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ კოლეჯი „იბერია“
დირექტორი /ი.ავალიანი/

შესყიდვების სპეციალისტი: /გ.ფახურიძე/